# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 77 შაბათი, 28 ნოემბერი 1909 წ. № 77



გაზეთი „მომავალი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნომერიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კ., თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. სამღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებისფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. [illegible] მგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—[illegible] ლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შე- სახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვა გან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისათვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი"

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში და თფილისს გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალის» კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში [illegible]

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.



წარმოდგენა 18. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 18.

დილით: საღამოს წარმოდგენა დილით

კვირას, 29 ნოემბერს, 1909 წ. 6. მ. გაბუნია-ცაგარლის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ დ ი ლ ი თ: [illegible]

ს ა ღ ა მ ო თ ი

6. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით [illegible] წარმოდგენილი იქნება: I „[illegible]" [illegible] II „[illegible]" [illegible] III [illegible] IV „ბანუშა" [illegible]

[illegible]

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა და დღესასწაულო კომიტეტი.



## თფილისის კერძო საავადმყოფო

[illegible]

(100—47)



## ვოგზლის კერძო საავადმყოფო

[illegible]

(100—47)



## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისა- მოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.



ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 10.

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**შაბათს, 28 ნოემბერს, 1909 წ.** ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ქართველი დედა

ისტორიული დრამა 4 მოქ. ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

რეჟისორი ს. სვიმონიძე გამგე თ. ნასიძე



ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 28 ნოემბერს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

## სამხედრო განაკში

დრამა 4 მოქმ. ბეიერლეინისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.

ადგილების ფასი 5 კ.—25 კ. დასაწყისი საღ. 8 საათზე.


ვასილ, სტეფანე, გრიგოლ და ივანე იოსების ძე კაჩუხოვები, თეკლე იოსების ასული მეფისოვისა, მარიამ იოსების ასული და სოლომონ ევლამფის ძე, ასლანოვი, როზალია იოსების ასული და გიორგი გაბრიელის ძე ფიცხელაური და ბარბარე ანდრიას ასული კაჩუხოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 25 ნოემბერს გარდაიცვალა ძვირფასი დედა

## სოფიო ივანეს ასული კაჩუხოვისა

პანაშვიდი დღის 4 საათზე (ყაზბეგის ქუჩა, ასლანოვის ბინა 16). ცხედარს გამოასვენებენ 29 ნოემბერს, დღის 12 საათზე და დაკრძალავენ კუკიის რომაელ კათოლიკეთა ეკკლესიაზე.


ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

## კ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზია- ში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთული და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები", „კლიონკები" და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—6—3)



კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დვებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: **ავჭალის ქუჩა № 34.**



კბილის ექიმი

## ს, ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.



კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).



დ. ქიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.



## ბ ა თ უ მ შ ი

## რკინის გზის შკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—8) **გამგე გიორგი მახარაძე.**



**საჭიროა** არის ჟურნალ-გაზეთების გამყიდველი **დ. სამტრედიაში.** პირობების გაგება შეიძლება სად. წიგნის შკაფში.

(5—3)



## საჭიროა

ჟურნალ-გაზეთებისათვის ა გ ე ნ ტ ი **დ. ლანჩხუთში.** პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჟომის ქ. № 5, **რუკოვიჩთან** და აგრეთვე დ. სამტრედიაში ვოგზალზედ წიგნის შკაფში **ყარამან კოპალეიშვილთან.**



## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

**ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა**

მოგვმართოთ შემდეგი ადრესით: „**Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich»**.

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—19)



## ქ. ბორჯომში

გაზეთ **«მომავალ»**-ზე ხელის მოწერა და „**მომავალ**"-ში დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე **ლევან ბუაძესთან.** აქვე იშოვება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები.

რკ. გზ. შკაფის გამგე **ლევან ბუაძე.**

(10—2)



## ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ვისაც გამოწერილი აქვს ა. ბოგდანოვის „მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა' შეუძლია მიიღოს რკინის გზის შკაფში **გიორგი** მახარაძესთან.

3—1


## თფილისი, 28 ნოემბერი

ამ დღეებში კადეტების საპარლამენტო ფრაქციას პროვინციების პარტიულ წარმომადგენლებთან ერთათ თათბირი ჰქონდა დღევანდელ მომენტზე და ტაქტიკაზე. სამწუხაროთ, ამ თათბირის შესახებ გაზეთებში ძლიერ ცოტა ცნობებია. მიუხედავათ ამისა, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება მასზე შევაჩეროთ და აღვნიშნოთ რაც საგულისხმიერო არის შიგ. კადეტების ლიდერს, მილიუკოვს მთავრობის და სახელმწიფო დუმის პოლიტიკურათ გამოურკვევლობის მიზეზათ მიაჩნია **პარტიების მოწყვეტა** ხალხისგან; კითხვას წყვეტს ამ შემთხვევაში არა საზოგადოებრივი აზრი, არამედ შემთხვევითი გარეგანი მუჯლუგუნებიო—**лучше поздно, чѣмъ никогда.** ჩვენ გვიან გვესმის ეს აზრი, მაგრამ მაინც სიამოვნების მეტი არ დაგვრჩენია რა. დიდი ხანია მას აქეთ, რაც ს.-დემოკრატები კიდევ პირველ დუმაში ურჩევდენ კადეტებს, რომ დუმა უძლურია ხალხთან შეუკავშირებლათ, ხალხის დაუხმარებლათ და ხალხისაგან ძალ-დაუტანებლათ; ამ თეორეტიულ აზრს ს.-დ. პრაქტიკულათ აყენებდენ დუმაში, მაგრამ ყოველი წინადადების მიღება დამოკიდებული იყო კადეტებისაგან, რომლებიც ყოველივეს, რაც კი აახლოვებდა, აკავშირებდა დუმას ხალხთან, უკუ აგდებდენ; მათ საჭიროთ მიაჩნდათ მხოლოდ თვით დუმაში მუშაობა, დუმის გარეშე მუშაობა ხალხთან დასაკავშირებლათ კი—ზედმეტათ, და აქედან წარმოდგა ის გარიყვა, რომელიც მოყვა პირველი დუმის დათხოვას და ვიბორგის მანიფესტს. განა ცდებოდენ ს.-დ., როცა წინადადება შეიტანეს დუმაში, რომ სასურსათო საკითხი (**продовольственный вопросъ**) თვით ხალხს გადასცემოდა, მის ორგანიზაციაში ხალხს მიეღო მონაწილეობა, ეს საქმე გამოეგლიჯა გურკოლიდვალების ხელიდან და იმათთვის ჩაეგდო ხელში, ვინც პირდაპირ დაინტერესებული იყოს მის რიგიანათ მოწყობაში? ამ საქმის ხალხის ხელში გადაცემა ერთი მხრით მას აშკარათ დაანახვებდა, რომ დუმა მათზე ზრუნავს, მეორე მხრით ამ ნიადაგზე შექმნილი ხალხური ორგანიზაციები შეიქნებოდა იმ ძალათ, რომელზედაც თვით დაეყრდნობოდა. ამგვარივე ხასიათის, მაგრამ უფრო ძლიერი ორგანიზაცია, ხალხის აუცილებელი საჭიროების დამაკმაყოფილებელი, იქნებოდა ეგრეთ წოდებული სამიწო კომიტეტები, რომლებსაც ს.-დ. წინადადებით, უნდა გადაეწყვიტა მიწის საკითხი. ჩვენ დავასახელეთ ს.-დ. მხოლოდ ორი წინადადება, რომლებიც უარყოფილ იქნა დუმისაგან, უკეთ ვთქვათ, კადეტებისაგან, რადგანაც მთელი ძალა მათ ხელში იყო, რითაც დუმამ თვით მოსჭრა ის ტოტი, რომელზედაც თვითონ იჯდა და რომლის იმედითაც მას შეეძლო მომავალში არსებობა, არ ინდომა იმ ფესვის გახარება, რომელზეც ის უნდა დაყრდნობოდა თავის მომავალ რეფორმატიულ მოქმედებაში.

თუ კადეტებმა მაშინ ვერ შეიგნეს რა მნიშვნელობა ექნებოდა დუმის არსებობისთვის სხვადასხვაგვარ ხალხურ ორგანიზაციებს, ახლა მაინც ექნებათ შეგნებულიო, იტყვის ზოგიერთი მკითხველი, რადგანაც მათ აღიარეს, რომ დუმის დაუსრულებელი რყევის და უმოქმედობის მიზეზი ხალხისაგან სრული მოწყვეტააო. საუბედუროთ, ამ შემთხვევაშიაც ისინი ჩვეულებრივ ორჭოფ მოქმედებას არჩევენ და ბოლომდის ვერ მიუყვანიათ ის დასკვნები, რომელიც გამომდინარეობენ იმ აზრიდან, რომ ხალხი დუმისაგან სრულიად მოწყვეტილია. ისინი ისევ დუმის შიგნით ეძებენ იმ ძალებს, რომლებიც გამოიყვანენ რუსეთს ამ გამოურკვევლობისაგან. რა გზაა ეს? დუმის „ბურჟუაზიულ" მარცხენა ცენტრის მხარის დაჭერა. ცოტა არ იყოს, „ბურჟუაზიული" მარცხენა ცენტრი ჩვენთვის სავსებით გამორკვეული არაა: თვით კადეტებიც ხომ არ არიან წმინდა წყლის დემოკრატები? მაშ, ვისზეა აქ ლაპარაკი? ალბათ, მემარცხენე ოქტომბრისტებზე. რა კითხვებში უნდა დაუჭირონ მათ მხარი? სოციალურ კითხვებში, გაიძახიან—კადეტები—ოქტომბრისტების იმედი არ უნდა გვქონდეს, ისევ უკადურესი მემარჯვენეები და გლეხები დაგვიჭერენ მხარსო, ვიდრე ოქტომბრისტებიო. ეს რაღაც დაუჯერებელია! რომელი მემარჯვენეები დაუჭერენ მათ მხარს მუშათა და სამიწო კითხვის გადაწყვეტის დროს? მარკოვი 2 და პურიშკევიჩი? რა უნდა დავარქვათ ასეთ იმედებს? პოლიტიკური

მოუმწიფებლობა და სიბეცე, თუ სხვა რამ! ორ წელიწად ნახევარია მესამე დუმა არსებობს და ჩვენ ერთხელაც არ ვიცით, რომ მემარჯვენეებს რომელიმე სოციალურ კითხვაში ზომიერ მემარცხენეებისთვისაც რამეში მხარი დაეჭიროთ და ახლა რის იმედით ამბობენ ამას კადეტები? ნაციონალურ კითხვაში თვით კადეტებსაც არა აქვთ იმედი არც ოქტომბრისტების და არც მემარჯვენეების. კადეტებისთვისაც აღარაა საიდუმლოთ, რომ ორივე პარტიის წარმომადგენლები „ინოროდცების“ განადგურებას ლამობენ და ყველა ერთა სწორ-უფლებიანობა მათთვის მიუღებელია; ასე რომ, დუმა ამ მხრითაც თუ რამეს გააკეთებს, მხოლოდ ახალ-ახალ მუხრუჭების მოჭერის მხრით და არა რაიმე შეღავათის მინიჭებით. კიდევ რა დარჩენილა გასაკეთებელი დუმაში? „კონსტიტუციის“ გამაგრება! კონსტიტუციის გამაგრება სურთ კადეტებს ბურჟუაზიული მემარცხენე ცენტრის საშუალებით. ესეც რომ სიყალბეა, ამას ნათლათ ამტკიცებს ოქტომბრისტების მთელი მოღვაწეობა. მათ არამც თუ გაამაგრეს „კონსტიტუცია“, პირიქით, არსებული ძირითადი კანონებიც კი შეკვეცეს, ვითომ მათ აკლდა შეკვეცა.

ამის შემდეგ ჩვენ არ გვესმის კადეტების იმედები, რომ ოქტომბრისტების საშუალებით მათ სურთ კონსტიტუციის გამაგრება. მათი დახმარებით იმდენათვე შეიძლება კონსტიტუციის გამაგრება, რამდენათ სოციალური კითხვების გადაჭრა მარკოვ-პურიშკევიჩის დახმარებით. თუ კადეტებმა შეიგნეს ის აზრი, რომ დუმის გამოურკვევლობის მიზეზია მისი ხალხისაგან მოწყვეტა, მათ უნდა შეიგნონ ის აზრიც, რომ მესამე დუმის უმრავლესობა დადებით მუშაობაში ყოვლად გამოუსადეგარია, მას შეუძლია რევოლიუციასთან ბრძოლა, მას შეუძლია ფინლიანდიელების და სხვა ერთა შევიწროება, მას ეხერხება მხოლოდ უარყოფითი მოქმედება, რადგანაც ამგვარია მოქმედება თვით მთავრობისაც. ამგვარ შეგნებას კი უნდა მოყვეს კადეტების მხრივ იმ აზრის აღიარება, რომ მესამე დუმა იმდენათ არის კარგი, რამდენათაც მემარცხენე ელემენტებს მისი შემწეობით ეძლევა საშუალება პირდაპირ ხალხთან ლაპარაკისა, ხალხის შეგნების განვითარების და მისი პოლიტიკურათ აღზრდის. შეგნებული ხალხი კი შესძლებს კონსტიტუციის გამაგრებასაც, სხვადასხვა ერთა სწორ-უფლებიანობის დამყარებას და სოციალური რეფორმის მოხდენასაც.

# პრესა

ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ წერილს— „მართლა არაფერია საერთო“? ძალიან გაუბრაზებია „დროება“ და ის შეუსაბამო კილოთი მოყოლია ლანძღვა-გინებას, მარა ლანძღვა გინება ხომ საბუთი არაა. რათ ბრაზობს ასე „დროება“? юпитеръ ты сердитъ, значитъ —не правъ.

„დროება“ ჩვენც გაღმოგვწვდა და ბლაგვი კბილი გაგვკრა.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ნ. დ. წინადადება—სადაო კითხვა საბოლოოთ გადაჭრას სამედიატორო სასამართლოთ—სწორ გზათ მიგვაჩნია-თქვა. ამ შენიშვნას, როგორც ეტყობა, ძალიან ცაუნაწყენებია „დროება“ და ამბობს: ჩვენ „სადაო“ და „საბოლოოთ გამოსარკვევი“ არაფერი გვაქვსო. თქვენ დალოცვილებო, თუ არაფერი გქონდათ გამოსარკვევი, რაღას აცხადებდით, რომ ამ დღეებში ვრცელ წერილს დავბეჭდავთო?. თუ მხოლოდ მცირედი შენიშვნა მიგაჩნდათ საკმარისათ, რაღას პირდებოდით მკითხველებს ვრცელი წერილის დაბეჭდვას?. ჩვენი აზრით, სადაო კითხვის კოლეგიალური გადაჭრა თვით საქმისათვის იყო საჭირო. თუ „დასამტკიცებელი“ არაფერი იქნებოდა და ასეთ განაჩენს გამოიტანდა სასამართლო, ეს ხომ უარესი იქნებოდა ნ. დ—სათვის? მაშინ მკითხველი ნამდვილათ დარწმუნდებოდა, რომ ნ. დ. ცილის მწამებელია. „დროება“ უკბილო ირონიით გვეუბნება: თქვენ თუ რამე გაქვთ გამოსარკვევი, შეადგინეთ „თფილ. ლის.“-ს „ლიტერატორთაგან“ სამსჯავრო, დაუნაშნეთ თავმჯდომარეთ ნ. დ. და მერე არკვიონ რამდენიც ნებავთო.

ჩვენ არავის არ ვნიშნავთ და არც ჩვენი საქმეა ეს. მხოლოდ, რაც შეეხება „ტ. ლისტ.“ „ლიტერატორების“ ჩვენთან დაკავშირებას, რა უნდოდა ნეტავ ამით ეთქვა „დროება“-ს? ჩვენ რომ „ტ. ლ.“ „ლიტერატორებთან“ არავითარი კავშირი არ გვაქვს და არ გვქონია—ეს ყველამ კარგათ იცის და არ მგონია გამოჩნდეს ვინმე გულუბრყვილო თვით „დროების“ მკითხველებშიც კი, რომ ეს არ დაიჯეროს. „დროება“-მაც კარგათ იცის ეს, მარა თუ მაინც დასწერა, ალბათ, იმისთვის, რომ გული მოეფხანა და ჩვენკენ ტალახის სროლით, ვითომდა თავისი სისპეტაკე მოეჩვენებია. რას იზამთ! კაცია და გუნებაო—იტყვიან.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ნოემბერი.

### საზღვარ-გარეთ

**ბერლინი** რეიხსტაგში ტრიბუნები და სხდომის დარბაზი ხალხით მთლათ გაჭედილია. იქვე არიან იმპერიის კანცლერი და ყველა მინისტრები. განსახილველია სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვა. პირველათ ილაპარაკა იმპერიის კანცლერმა მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტი დიდი სიფრთხილით არის შედგენილი; ბიუჯეტი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნებს, რომლებიც გამოწვეულია ქვეყნის დაცვით. უპირველესი მიზანია მტკიცე ნიადაგზე დაყენებულ იქნას ქვეყნის ფინანსიური საქმე. ამ მხრით ყველა პარტიებმა შეერთებულათ უნდა იმოქმედონ, მიუხედავათ პარტიულ სხვა და სხვაობისა. შემდეგ კანცლერმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგა გერმანიის მთავრობები ახალ გადასახადების მიერ გამოწვეულ გამწვავებულ ბრძოლის გამო. მთავრობები მხოლოდ წინააღუდგენ უწესოთ გამოანგარიშებას და ზოგიერთ სანოვაგის გაძვირებას. პარტიულ პოლიტიკაში არ ჩარეულა. გერმანიის მთავრობა —სთქვა კანცლერმა—თავის დღეში არ იქნება პარტიული მთავრობა. მხოლოდ რადიკალიზმს სურს გერმანია რომ მოპირდაპირე ბანაკათ გაიყოს. ფართე მასას კი არ სურს ამ მდგომარეობაში ყოფნა, ხალხს უნდა მტკიცე, შეურყეველი პოლიტიკა და არა ის პოლიტიკა, რომელსაც სხვა არა სწამს რა, გარდა ბრძოლის ყიჟინისა—„რადიკალიზმი“ და „რეაქცია“. მე დარწმუნებული ვარ, დაასრულა კანცლერმა, რომ ხალხი ეცდება დაიცოს ეს მდგომარეობა. კანცლერს რამდენჯერმე გააწყვეტინეს სიტყვა. მემარჯვენეები და ცენტრი ტაშს უკრავდენ, ს-დემოკრატები სასტიკ პროტესტს უცხადებდენ.

კანცლერის შემდეგ ილაპარაკი სეკრეტარმა ვერმუტმა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა 520 მილიონ ფრანკის სესხათ აღება და სხვა.

**ბუდაპეშტი**. ფრანც იოსებ იმპერატორმა მიიღო აუდიენციაზე და განუცხადა, რომ ზიჩიმ უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე. კაბინეთის გადადგომა მიიღეს, მაგრამ დროებით ის აწარმოებს საქმეებს.

**ნიუ-იორკი**. პურტო-კორტეციდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 24 ნოემბერს ჰონდურასში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

**ათინა**. დეპუტატთა პალატაში რამდენიმე კანონ-პროექტი წარადგინეს, მათ შორის შაქრის მონოპოლიის, გაზის და ელექტრონის ქარხნებზე ბაჟის დადების და სხვათა შესახებ.

**ბერლინი**. პოლონეთის ფრაქციამ რეიხსტაგში რამდენიმე საკანონმდებლო წინადადება შეიტანა, მათ შორის გერმანიაში უცხოელთა ცხოვრების საკითხის მოწესრიგების შესახებ. ეს კანონ-პროექტი გამოიწვია რუსეთის და ავსტრიის ქვეშევრდომთა ადმინისტრატიულათ გაძევებამ.

**ვენა**. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში დაიწყო ისტორიკ ექიმ ფრიდიუნგის და გაზეთ «რეიხს-პოსტ»-ის რედაქტორ ამბაროსის საქმე. მათ ხორვატელი 50 დეპუტატი ბრალს სდებს ცილის-წამებაში, თითქო მათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს ღალატში და სერბიას მოესყიდოს. გაზეთ «ნოიე-ფრაი-პრესეს» რედაქტორის საქმე ცალკე გამოიყო. სასამართლოში გამოცხადდა 23 დეპუტატი. ფრიდიუნგმა განაცხადა, რომ ბრალს სდებს სოციალისტებს არა სახელმწიფოს ღალატში, არამედ არა-ლოიალობაში და დაამტკიცებს კიდეც, რომ ზოგიერთმა დეპუტატებმა ფულები მიიღეს სერბიიდან.

**ლონდონი**. ღამით მძარცველები შეიპარენ ფოსტის განყოფილებაში და გაიტაცეს ფულის შკაფი, რომელშიაც იყო 1,329 გირვანქა სტერლინგი. პოლიცია დაედევნა მძარცველებს და შვიდი მათგანი დაიჭირა. ფულის შკაფი წაართვა გაუტეხელი.

**ბისმარკსგიუტტე**. ღამით გასტეხეს საზოგადო კასა. ქურდებმა მოიტაცეს ოცდაოთხი ათასი მარკა ფულათ და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები 96,000 მარკათ ღირებული.

### რუსეთი.

**ნოვოროსიისკი**. სადგურ გაიდუკზე დაიმტვრა საქონლის მატარებელი, მოკლულია «სმაზჩიკი“. დაჭრილია სამი კონდუქტორი, „ტორმოზილშჩიკი“ და ერთი უბილეთო მგზავრი. დაიმტვრა სამი ვაგონი და სამი დაზიანდა.

**პეტერბურგი**. გაძლიერებული დაცვის წესები გაგრძელებულ იქნა ადესის საგრადონაჩალნიკოში ვორონეჟის და პოლტავის გუბერნიებში, 1910 წლის 4 სექტემბრამდე. მინსკის გუბერნატორს 1910 წლის 4 სექტემბრამდე უფლება მიეცა გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი.

გზათა სამინისტრო [illegible] აღძრას საკითხი მინისტრთა საბჭოში შეტანილ იქნას მოსწავლეების შეღავათიან ფასებში მოგზაურობის წესები რკინის გზებზე და უფრო მეტი შეღავათი მიეცეთ მათ, ვიდრე ახლა აქვთ.

**მოსკოვი**. ცნობილ ბოტანიკ პროფესორ ტიმირიაზევს დამბლა დაეცა.

### ხ ო ლ ე რ ა.

**მოსკოვი**. ოფიციალურ ცნობებით უკანასკნელ ხანებში ხოლერით ავათ გახდა 47, საექვო ავათმყოფი იყო 70. მოკვდა 26, მორჩა 40, ავათ არის 52.

# წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლოიდ ჯორჯის ფინანსიური ბილი—აი რის ირგვლივ ტრიალებს, აგერ რვა თვეა გაცხარებული ბრძოლა ინგლისში. დიდი ქაჰან-წყვეტის შემდეგ ხსენებული ბილი ანუ კანონ-პროექტი გავიდა სათემო პალატაში. ჩვეულებრივ სათემო პალატა მუშაობს თებერვლიდან აგვისტომდე, წელს კი ის აქამომდე მუშაობს განუწყვეტლივ, რამდენიმე ღამე ფართეთ გაათენა დებატებში, არც საზაფხულო კანიკულები რგებია მას... ამ ჟამად ბილი ლორდთა, ანუ ბატონთა პალატაში ირჩევა, სადაც ის, როგორც ყველა დარწმუნებულია, დღეს თუ ხვალ ჩაილულის წყალს მიირთმევს. ამ ამბავს უნდა მოჰყვეს დიდმნიშვნელოვანი შედეგები, რომელთა წინდაწინვე გაზომვა და დაფასება შეუძლებელია. ამ საგანს მე, ალბათ, ხშირათ დავუბრუნდები მახლობელ წერილებში, აქ კი შევჩერდები თვით ბილზე, რომლის, თუ მეტი არა, ზეზეური წარმოდგენა მაინც, აუცილებელი პირობაა თვით კონფლიქტის შესაგნებლათ.

როგორც ვიცით, ინგლისის ლიბერალურმა სამინისტრომ ერთი თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგა კიდევ შარშან სოციალური კანონდების ასპარეზზე. მისი თაოსნობით შემოღებულ იქნა ეგ. წოდ. მოხუცთა პენსია სახელმწიფოს ხარჯით. ეს რეფორმა თავის თავათ დიდ ნაბიჯს არ შეიცავს დღეს-დღეობით მაინც და თხოულობს მხოლოდ 80 მილიონ მანეთს, მაგრამ ვალებით და სამხედრო მზადებით შებოჭილი სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ ახერხებს ამის გამოღებასაც. ამ რაოდენობას ზედ დაერთო არაჩვეულებრივი ხარჯი ჯავშნიან გემებზე, ასე, 50 მილიონი მანეთი. ამ 130 მილიონი დეფიციტისაგან თავდასაღწევათ ფინანსთა მინისტრს ლოიდ ჯორჯს რამე ახალი წყა-

# მეზღვაურის ხმა

I.

ცის დასავალი შავ წყვდიადით იბურებოდა,
წაროვნით, ქუხილით, მეხთა სრბოლით, იმუქრებოდა!
ქარი ღმუოდა... გაშმაგებით გრიგალი ჰქროდა,
მოუსვენარი, ზღვა მღელვარი, ტალღებს ისროდა!
მეცა ვღელავდი, გული ჩემი არა დრკებოდა,
ხმა სიმღერისა, ზღვის ღრიანცელს უერთდებოდა!
ვერარა ჰზღუდავს ჩემს ბობოქარ გრძნობათა ზვირთებს,
იერიშითვე ვეგებები ფაფარ აშლილ მთებს!
მე ზღვის შვილი ვარ, მეზღვაური, ზღვაზე შობილი,
ვინც რომ არ იცის რა არს შიში, ლაჩრული ფრთოლვა;
ჩემი ემბლემა—აფრა არის, ნავი—ძმობილი,
და მარად ლხინი—შეუწყვეტი, გმირული ბრძოლა!

II.

... შორს, თვალუწვდენელ, ზღვის სივრცეში, ობოლ კუნძულზე,
ობოლი სულით, იდგა ვინმე იმედ მიხდილი;
თვალთა ნაფრქვევი მდუღარება თეთრ-ბროლის გულზე,
უხვათ სდიოდა... იყო ტურფა, კდემა მოსილი!
ქალწული იგი არ სადარი, ტყვეთა პყრობილი,
ეთეროვანი, მონარნარე, მშვენიერება;
ვით ანგელოსი წმინდათ წმინდა ხელთ აპყრობილი,
სათნოიანის სახით ზეცად გაიყურება!
მთრთოლვარე ბაგით, შეჰღაღადებს უფლისა მიმართ,
რომ აღმოჰხადოს, წარიტაცოს, ტანჯული სული;
რათა უმაძღარ, სისხლისა მსმელ, ყვავ-ყორნებს საზარ ით,
განშორდეს... მოკვდეს... აღარ გრძნობდეს ტკივილებს გული!

III.

... მეც იქით ვილტვი... მძლეთ მივარღვევ ალქაფებულ ზღვას,
გულის მეხს ვტყორცნი გაცოფებულ წყლის და ცის რისხვას!
მის დასახსნელათ არ დავზოგავ მსხვერპლათ შეწირულს,
ჩემს ნორჩ სიცოცხლეს, შეუმწიკვლელს, მისთვის განწირულს!
და ვინ იქნება, რომ ჩემს ლტოლვას წინააღუდგეს,
არავინ... დაე ოკეანე აღსდგეს, აზვირთდეს,
შიშის ზარს სცემდეს ცა პირ-ქუში კიდითი კიდეს,
მაინც მივაღწევ დიად მიზანს, სანატრელ კუნძულს,
გულს მივისვენებ ჩემს ღვთაებას ლოცვით მოქანცულს.

გ. ქურიშვილი.

## როგორ ვითარდება კაპიტალიზმი?

(პ. მასლოვისა).

დასასრული.

უნდა შევნიშნოთ, რომ სანამ არსებობს მსხვილი მრეწველობის ოჯახური ფორმა, სანამ შინა მრეწველი მუშაობს სახლში, ხოლო კაპიტალისტი აგროვებს მხოლოდ წვრილ წარმოების დამზადებულ საქონელს, სოციალური ძალები, რომელიც წარმოებაში არიან ჩაბმულნი, ვერ იჩენენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას. ის საგრძნობელი ძალა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ თავიანთი მრავალ-რიცხოვნების და ერთგვარი ინტერესის მეოხებით, რჩება შეუმჩნევლათ, რადგან ისინი გაბნეულნი არიან თავიანთ ქოხებში; აგრეთვე კაპიტალისტებიც, რადგანაც არ იღებენ პირდაპირ მონაწილეობას წარმოების მოწესრიგებაში, ვერ ახერხებენ ეკონომიურ ძალის გამოჩენას. ამიტომ, თუმცა ოჯახურ წარმოებაში გაცილებით მეტი მუშა ხალხია ჩაბმული, ვინემ მსხვილ წარმოებაში, მარა მიუხედავათ ამისა, ის კლასი ბურჟუაზიისა და კლასი მუშებისა, რომელნიც ოჯახურ წარმოებაში არიან ჩაბმულნი, წარმოადგენენ მცირე ძალას მსხვილ მწარმოებლებთან და მათ მუშებთან შედარებით. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ არამც თუ „ნაროდნიკები,“ რომელთაც ოჯახური წარმოება მიაჩნდათ „ხალხურ“ წარმოებათ, ზოგიერთი მარქსისტებიც-კი ხშირათ გაიძახიან რუსეთის ბურჟუაზიის უძლურებაზე, წარმოებათა პირობებით ხელ-შებოჭილი სოციალური ძალები ოჯახური მრეწველობისა, მოკლებულნი არიან საშვალებას ჯერ-ჯერობით, სანამ კაპიტალიზმის განვითარება და მსხვილი წარმოების ფეხზე დადგომა არ დაამსხვრევს მათ ბორკილებს, ერთ-ერთს დაუპირდაპირდენ საზოგადო ასპარეზზე როგორც დარაზმული და საბრძოლველათ გამოწყობილი პოლიტიკური ძალები.

II

ის თანდათანობა, რომლითაც წვრილ წარმოების მსხვილათ გარდაქმნა ხდება, დამოკიდებულია კაპიტალის მოგროვების პროცესისაგან, რასაც იწვევს ორი უმთავრესი ფაქტორი: ტეხნიკური პირობები ამა თუ იმ დარგისა მრეწველობაში და ბაზრის პირობები.

ტეხნიკური გაუმჯობესობის წყალობით წვრილი წარმოების მსხვილათ გარდაქმნის პროცესი ყველა წარმოებაში ერთნაირათ არ ხდება. მაშინ, როდესაც ერთი რომელიმე წარმოების მსხვილ წარმოებათ გახდომა ხშირათ შრომას ანაყოფიერებს და ერთბაშათ სპობს წვრილ წარმოებას, სხვა დარგში მსხვილ წარმოებას მეტათ ცოტა უპირატესობა ეძლევა წვრილთან შედარებით, ცხადია, კაპიტალი იმ მრეწველობაში ბატონობს, სადაც ამას უფრო ხელს უწყობს ტეხნიკური პირობები და ტოვებს დროებით ხელ-უხლებლათ ისეთებს, სადაც მსხვილი მწარმოებლის უპირატესობა ნაკლებ შესამჩნევია. ბაზრის პირობებსაც აგრეთვე პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს წარმოების მოწესრიგებაში. რამდენათაც მცირეა ბაზარი მრეწველობის რომელიმე დარგისათვის, მით უფრო ჩქარა ახდენს კაპიტალი მის ტეხნიკურ გარდაქმნას და მით ქმნის მასსიურ წარმოებას. ამიტომ რუსეთში, სადაც შინაური ბაზარი ფართოა, კაპიტალისტური წარმოება გაცილებით მსხვილია, ვინემ ევროპის სახელმწიფოებში, მხოლოდ მრეწველობის იმ დარგებში, რომლის ნაწარმოები ფართო მასსის სახმარათ არის გამხდარი, რუსეთის შინაური ბაზარი ექსტენსიურია და მცხოვრებთა უმრავლესობის სიღატაკის გამო ინტენსიურათ ის ნაკლებ განვითარებულია დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ე. ი. ძლიერ ცოტა ნაწარმოები გამხდარა ფართო მასსის სახმარ ნივთათ. შინაური ბაზრის განვითარებაც ხდება თანდათანობით. რუსეთში წარმოების ახალ დარგთათვის შინაური ბაზრის გაფართოებას აფერხებს მცხოვრებთა ფართო ნაწილის მძიმე გადასახადებით დაბეჩავება. მიუხედავათ ამისა, კაპიტალი აუცილებელი თანდათანობით იმორჩილებს, თუმცა ნელ-ნელა, წარმოების სხვა და სხვა დარგს.

ეკონომისტები-კი შეცდომაში შეყავს კაპიტალისაგან ასეთი ნელი ნაბიჯით მრეწველობის სხვა და სხვა დარგის დამორჩილებას: რადგან მსხვილი კაპიტალი ჯერ კიდევ სტოვებს წვრილ მწარმოებელთა ხელში წარმოების ბევრ დარგს, აქედან ის დასკვნა გამოყავთ რომ, ის წარმოება, რომელიც ამ ჟამათ წვრილ მწარმოებლების ხელშია, სამუდამოთ ასეთი დარჩება, ასეთ თვისებას განსაკუთრებით აწერენ მიწის მეურნეობას და ზოგ ისეთ წარმოებას, რომელიც შინა-მრეწველობის ხელშია. ამნაირათ, სულ ახალ-ახალ მრეწველობაში კაპიტალის შეჭრა ფრთას აჭრის წვრილ წარმოების დამცველებს.

დაიპყრობს-რა კაპიტალი გზებს და სხვა მიმოსვლის საშვალებებს, ჩვეულებრივათ იმორჩილებს საქსოვ და მეტალურგიულ მრეწველობას.

გერმანიაში, ზომბარტის ცნობით, სამთო მრეწველობა, ბანკები, დამზღვევი საზოგადოებები და რკინის გზები 1851-70 წლებში ნთქავდა 92,7 % იმ კაპიტალის საერთო ჯამიდან, რომელიც დაბანდული იყო სააქციონერო წარმოებაში. მესამოცდაათე წლებში ამავე მრეწველობას მოხმარდა მხოლოდ 61,8 % ნაწილი სააქციონერო კაპიტალისა, მე-80 წლებში—34 % და 1890—4 წლებში 25 % უკანასკნელი წლებში „კაპიტალი იქ ლამბობს გაჩერებას, სადაც ბატონობს ხელოსნობა“.

ამ ნაირათ, გერმანიაშიაც, რომელმაც დიდი ნაბიჯი გადასდგა კაპიტალისტურ წარმოებაში, კაპიტალმა დენა იწყო მხოლოდ მე XIX საუკუნის ბოლოს იმ

რო უნდა გაეჩინა. მანაც არ დააყოვნა და წარუდგინა პარლამენტს ახალი გადასახადების შემდეგი კანონ-პროექტი:

| | | | |
|---|---|---|---|
| გადასახადი | შემოსავალზე . . | 35 | მილ. მ |
| „ | მემკვიდრეობაზე . | 28,5 | „ „ |
| „ | სამიკიტნ. კონც. | 26 | „ „ |
| „ | შტემპელზე . . | 6,5 | „ „ |
| „ | ავტომობილებზე . | 2,6 | „ „ |
| „ | ბენზინზე . . . | 3,4 | „ „ |
| „ | მიწა-ადგილზე . . | 5. | „ „ |
| „ | სპირტეულობაზე . | 16. | „ „ |
| „ | თამბაქოზე . . . | 19. | „ „ |
| | სულ | 142 | მილ. მან. |

აი, ესაა ის დამატებითი ბილი, რომლითაც თითქო სახელი გაითქვა ლოიდ ჯორჯმა და რომლის გამო მთელ მის ბიუჯეტს აქაური „ზუბრები" სოციალისტურს უწოდებენ! მაგრამ ეს დემაგოგიური ამოძახილი არ უნდა გვიშლიდეს ხაზი გავუსვათ იმ საგულისხმიერო გარემოებას, რომ მოყვანილ ნუსხაში პირდაპირი ანუ შეძლებულთა გადასახადი **აღემატება** არა-პირდაპირს ანუ შეუძლოთა გადასახადს: პირველი უდრის 8,1, მეორე კი—6,1 მილ. მანეთს. საზოგადოთ, ამგვარი პროპორცია, ეს ერთი ხანია, ჩვეულებათაა ქცეული ინგლისის საერთო ბიუჯეტშიც, რითაც იგი ძირითადათ განსხვავდება კონტინენტის ბიუჯეტთაგან, სადაც მთელი ხარჯი თითქმის მარტო მასსას აწევს კისერზე.

მერე რა არის ისეთი ამ გადასახადებში, რომელმაც ამდენი აურ-ზაური გამოიწვია და თითქო რევოლიუციასაც კი უქადის ინგლისის „ლოიალურ" ხალხს? არც არაფერი, პირველი შეხედვით. მემკვიდრეობაზე ან შემოსავალზე, სპირტზე ან თამბაქოზე დღეს როდი შემოაქვთ აქ გადასახადები. ეს დიდი ხანია არსებობს აქ და ლოიდ ჯორჯის ბილი მხოლოდ **ცოტათი** ადიდებს მას. მართალია, სასმელების კიდევ უფრო გაძვირება დიდ პროტესტს იწვევს მათ გამკეთებელ მსხვილ მესაკუთრეთაგან, რადგან ამას შეუძლია წინანდელივით მასსის სმა-მთვრალობის შემცირება გამოიწვიოს და აქედან ბაზრის დაცემა, მაგრამ ეს გადასახადი მაინც არ არის ის ბოძი, რომელსაც ასე გამწარებით ებღაუჭებიან აქაური პარტიები და მთავრობა.

ასეთი საგაწამაწიო ბოძი არის ის ცხრილი, რომელიც მიწა-ადგილის გადასახადებს ეხება და რომელსაც მე განზრახ გავუსვი ხაზი. როგორ, გაიკვირვებს მკითხველი, 5 მილიონი მანეთი რაღაა დიდი ბელაა 142 მილიონში? ჯერ დავაკვირდეთ თვით საგანს ახლო. გადასახადი მიწა-ადგილზე სამ გვარია: ა) 20 პროცენტი ქალაქში მდებარე მიწა-ადგილის ზედ-მეტ ან დაუმსახურებელ ღირებულებაზე. ცნობილია, თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება იწვევს უძრავ მამულების ფასის და იჯარის უზომო ზრდას, რაშიაც თვით მესაკუთრეთ ხშირათ ერთი ბეწო შრომა და ხარჯი არ მიუძღვით, სამაგიეროთ, მარტო **ისინი** ითვისებენ ამ აუცილებელ განვითარების ნაყოფს. გადასახადიც სწორეთ ამ დაუმსახურებელ ზედმეტ ნაღებზე ვრცელდება; ბ) გადასახადი აგრეთვე ქალაქში მდებარე, მაგრამ ჯერ უსარგებლოთ მიგდებულ მიწა-ადგილის ღირებულებაზე; თვითეულ 10 მანეთზე მესაკუთრემ უნდა იხადოს 2 კაპეიკი; გ) 10 პროცენტი სამეურნეო მიწა-ადგილის ზედმეტ იჯარაზე, ე. ი. იმ ნაწილზე, რომელსაც იღებს მესაკუთრე მიწის ფასის ზრდის მიხედვით მის **ხელახლავ** იჯარით გაცემის დროს. ამას ერთვის მთამადნეულობის პრივილეგიებზე დაწესებული გადასახადი: ათი შაური თითოეულ 10 მანეთზე.

ჩამოთვლილი გადასახადები მიწა-ადგილზე სულაც არაა გადაჭარბებული. თვით ·მისალები ჯამი 5 მილიონი ნათლათ გვიჩვენებს, რომ ისინი, პირიქით, მიკროსკოპიული არიან *). აქაური მსხვილი მემამულენი ანუ ლორდები მაინც ღრიალებენ და წყევლა-კრულვას უთვლიან „სოციალისტურ" მთავრობას. რაშია საქმე? იმაში, რომ ინგლისის მომავალი ფინანსიური პოლიტიკა ამ პალიატივზე ვერ შეჩერდება, ის იძულებული იქნება ერთხელ გაკვალულ გზაზე იაროს და სახელმწიფოს ახალ-ახალი მოთხოვნილებანი მემამულეებზე **უფრო საგრძნობ** გადასახადების გაწერით დააკმაყოფილოს.

ბოლოს და ბოლოს ლორდებს დღევანდელი პატარა გადასახადი იმდენათ როდი უმღვრევს სისხლს, რამდენათ მათი ადგილ-მამულების სახელმწიფოს მიერ შეფასებ. მართლაც-და საგონებელია მათთვის კითხვის ეს მხარე. ადგილ-მამულ. შეფასება ინგლისში მომხდარა უკანასკნ. 1798 წელს, ე. ი. 110 წლის უკან! აბა ახლა შეადარეთ მაშინდელი და დღევანდელი ფასები: დღევანდელი ლორდი კი იხდის გადასახადებს დახავსებულ წინანდელ ფასების მიხედვით! თავის თავათ ცხადია, ახლათ შეფასების შემდეგ მომავალი თუ ძველი გადასახადები დღევანდელ ფასების მიხედვით გაიწერებიან.

სიმართლე უნდა ითქვას, ლოიდ ჯორჯმა მართლაც მიაგნო სახელმწიფო შემოსავლის ახალ და მდიდარ წყაროს... მაგრამ ამ კონკრეტიული მოვლენის ინგლისის საერთო პოლიტიკასთან კავშირზე შემდეგ.

ა. ჩ.

*) სათემო პალატამ ზოგი შესწორებანი შეიტანა ბილში მ დ ი დ ა რ თ ა სასარგებლოთ.

ავტ.

# ახალი ამბავი

**კავკ. სამ. ოლქის მზრუნველის განკარგულება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, რათა 1910 წელს, ზაფხულში, პიატიგარსკში გამოფენა მოახდინონ კავკ. ყველა სამრეწველო—სახელოსნო სასწავლებლების ნაწარმოებისა. ამ გამოფენაზე თავის ექსპონატებს თფილისის სახელოსნო სასწავლებელიც წარადგენს.

✦ **თფილისის ქალაქის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რათა სახელოსნო გამოფენა კავკასიის ცენტრში, თფილისში მოხდეს და არა პიატიგორსკში, რათა კავკასიის ყველა სახელოსნო სკოლებს შეეძლოს გამოფენაში მონაწილეობის მიღება.

✦ **საზაფხულო თეატრის შეკეთება.** ამ დღეებში „არტისტიული საზოგადოება" საზაფხულო თეატრის შენობის შეკეთებას შეუდგება. თეატრის ცალკე შესავალი მიხაილოვის ქუჩიდან იქნება. საზოგადოება ამასთანავე თავის ბიბლიოთეკის შენობასაც გააფართოებს.

✦ **ქალაქის საბჭოს** ორშაბათის სხდომაზე დაიწყება 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

✦ **შუამდგომლობა.** ქართველ-კათოლიკებმა შუამდგომლობა აღძრეს კავკასიის უმაღლეს, მთავრობის წინაშე, რათა მან თავის მხრივ იშუამდგომლოს იმის შესახებ, რომ ქართველ-კათოლიკებს, რომელთაც სომხურ ენაზე უხდებათ ეკლესიებში ლოცვა, ნება დართონ ეკლესიებში გასაგებ ქართულ ენაზე გამართონ წირვა-ლოცვა.

✦ **სომხური დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ხვალ, 28 ნოემბერს სხდომას მოახდენს, სადაც მოწვეული იქნებიან კერძო პირებიც, რომ რაიმე საშვალება მოსძებნონ სომხური თეატრის ახლანდელ უკიდურეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

✦ **შეკითხვა.** ამ დღეებში გურიის მამასახლისებს მთავრობა შეეკითხა იმის შესახებ, გაუგზავნეს მამასახლისებმა დეპუტატ გეგეჭკორს წლევანდელ მოსავლის შესახებ რაიმე ცნობები თუ არა, და თუ გაუგზავნეს,—როგორია ეს ცნობები.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 26 ნოემბ. ჩხრეკის დროს პოლიციამ დააპატიმრა 39 უპასპორტო.

✦ **უეცარი სიკვდილი.** 26 ნოემბერს თფილისის გიმნაზიის შენობაში უეცრათ გადაიცვალა პურის გამყიდველი ს. გოგითხანოვი. მკვდარი მიხაილოვის საავათმყოფოში წაასვენეს.

✦ **ბავშვის დაკარგვა.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციელებმა ენერგიული ზომები მიიღონ მეგაზეთე ნიკოლის მოსაძებნათ, რომელიც 2 კვირის წინათ გამოვიდა ბინიდან (ორლ. ქუჩა, № 19) და სახლში ჯერ არ დაბრუნებულა. ბავშვი 15 წლისაა, პირ-მრგვალი, თვალ-ჭრელი, აცვია თეთრი ბლუზა.

✦ **ქალის მოკვლა.** 26 ნოემბერს ვას. კარჩაგინმა მე-4 საპოლიციო უბნის სამმართველოში განაცხადა, რომ ამა დღეს, დილით, მან თავის სახლში თავისი ცოლი მოკლული იპოვა. როგორც პატარა მისი შვილის ჩვენებით გამოირკვა, კარჩაგინის ცოლი ვილაც თ. ვ. ეცრნიაკოვს მოუკლავს.

✦ **სახ. უნივერსიტეტის თეატრალურმა სექციამ** თავის კრებაზედ 24 ნოემბერს გაბუნია-ცაგარლის იუბილეზედ დასასწრებათ წარმომადგენლებათ არჩია სოფიო რომანიშვილისა და გ. ჯაბაური.

✦ **რკინის გზა კახეთში.** თფილისის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თ. პ. ი. თუმანოვი ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, პეტერბურგში გაემგზავრა, რათა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრას კახეთში განიერი რკინის გზის კონცესსიის ნებართვისათვის.

✦ **საქონლის ჭირი.** ერევნის გუბერნიიდან ცნობები მოდის, რომ იქ ალექსანდროვის მაზრაში საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ **საავათმყოფო ანაპაში.** თფილისში ჩამოვიდა ექიმი ბუდზინსკი, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მიწათ მოქმედების მთავარ გამგის წინაშე, რათა მას ნება დართონ საავათმყოფო ააგოს ანაპაში, სადაც ავათმყოფებს უაქიმებენ წყალში ბანაობით და ყურძნით ბუდზინსკის ნება დართეს ასეთი საავათმყოფოს ასაგებათ.

✦ **ტუსაღების გაქცევა.** ბაქოს ახალ ცენტრალურ ციხიდან 21 ნოემბერს სამი ტუსაღი გაქცეულა. ტუსაღებს რკინის ფანჯრები გადაუხერხიათ და იქიდან გადამხტარან. როგორც ფიქრობენ, აქ ტუსაღების გაქცევა მორიგ პოლიციელის დახმარებით მოხდა, რომელიც გარედან ციხეს დარაჯობდა. პოლიციელი შეიპყრეს.

✦ **ელექტრონის სადგური.** ქალაქის ინჟინერმა უკვე დაამთავრა ქალაქის ელექტრონულ სადგურის გეგმის შედგენა და მალე ქალაქის გამგეობას წარუდგენს განსახილველათ.

✦ **ახალი გაზეთი.** თფილისში არსდება გამომცემელი ამხანაგობა, რომელიც გამოსცემს ყოველ დღიურ უპარტიო პროგრესიულ გაზეთს. ამ დღეებში მოხდება ამ ამხანაგობის დამაარსებელთა კრება კავკასიის სამეურნეო შენობაში.

✦ **ებრაელების საღამო.** 28 ნოემბერს, შაბათს, „არტ. საზ." შენობაში გაიმართება საღამო სირიის მიწის მუშა და ხელოსან ებრაელთა სასარგებლოთ.

✦ **მთარგმნელთა საყურადღებოთ.** ითარგმნება ქართულათ «Садикъ маленькаго Гарри» და „Исторія маленькаго графа".

✦ **სახაზინო თეატრი.** დღეს სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება „სასიყვარულო ღამე".—„არტ. საზოგადოებაში"—„გაბზარული სარკე".

✦ **სასამართლო.** უმართებლესი სენატის პირველ საკასაციო დეპარტამენტში გაირჩა საქმე თფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორისა და ბაქოს საგუბერნიო სამმართველოს შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ ზუვანსკის საპოლიციო უბნის ბოქაულის არშენევსკის სასამართლოში მიცემის გამო, რომელსაც ორი ტუსაღის მოკვლა ბრალდებოდა. ბაქოს საოლქო სასამართლომ არშენევსკის გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა მიუსაჯა. თფილისის სამოსამართლო პალატამ დაადგინა ამ საქმის მოსპობა. პროკურორმა საქმე ბაქოს გუბერნატორს გაუგზავნა. საგუბერნიო სამმართველომ დაადგინა ამ საქმის ბაქოს საოლქო სასამართლოში წარდგენა. სამოსამართლო პალატის პროკურორი არ დაეთანხმა ამ დადგენილებას. უმართებლესმა სენატმა გადასწყვიტა, რომ ამ საქმის წარმოება საერთო წესს დაუქვემდებაროს.

✦ **შუამდგომლობის აღძვრა.** თფილისის სასტუმროების, რესტორანების, ავეჯით მორთულ ოთახების და სხვა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობამ 21 ნოემბერს თფილისის გუბერნატორის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ გამგეობას ნება მიეცეს გამოაცხადოს ადგილობრივ გაზეთებში სახელი და გვარი იმ პირთა, რომელნიც დაიქირავებენ ნომერს და შემდეგში უარს იტყვიან ფულის გადახდაზე ან არც სხვაგვარ დანახარჯებს აუნაზღაურებენ, რომ ამით საშუალება მისცენ სხვა პატრონებს, უარი უთხრან ამგვარ პირებს ნომრის დაქირავებისა და სხვა ხარჯების დროს.

✦ **ახალი კალენდრები.** რედაქციამ მიიღო მ. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი და გამოცემული 1910 წლ. სახალხო ქართული კალენდრები: ერთი ჯიბისა და მეორე კედლისა. ჯიბის კალენდარში მოთავსებულია ლექსები, ეტიუდები, რამდენიმე ქართველ მოღვაწეთა სურათი. შეიცავს 317 გვერდს და ღირს 20 კაპ.

✦ შაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს ოთხი საათიდან საქმოსნ საზოგადოებაში (ალექსანდროვის ბაღი) ქართულათ წაიკითხავენ: მასწავლებელი ქალი ქ-ნი ნატალია ყორღანია «წითელ ქუდს» და მასწავლ. ეკატერინე ასათიანისა—«დომ-კაცს» გიორგი წერეთლისას.

✦ მათხოჯის უფ. სამკითხველოს გამგენი გვატყობინებენ, რომ ცნობა, ვითომც მათხოჯის სამკითხველო უსახსრობის გამო დახურულიყოს, მართალი არ არის. აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ეს ცნობა გაზ. «ტ. ლ.»-ან ამოვიღეთ.

**შეცდომის გასწორება.** გუშინ-წინდელ ნომერში მოთავსებულ „წერილი სიღნაღიდან"-ში შეცდომით დაბეჭდილია: ორი ხმოსანი გადაყენებულ იქნა ქ. თავის მეცადინეობით. უნდა იყოს: ორი ხმოსანი დაითხოვეს სამსახურიდან, რომელნიც ქალაქის თვითმართველობაში მსახურებდნენ.

ვ. მ. წერილში (წერილები სპარსეთიდან), მეორე სვეტის მე-24 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია: მათი სინაზე, კდემა-მოსულება ვარიას ეცილებოდა... უნდა იყოს: მათი სინაზე, კდემა-მოსილება ია-ვარდს ეცილებოდა.

## ქუთაისი

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის იუბილე.** ადგილობრივი ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის ინიციატივით კვირას, 22 ნოემბერს, ქალაქის თეატრის დარბაზში მოხდა კერძო თათბირი შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა აღენიშნა ქუთათურ საზოგადოებას გაბუნია-ცაგარლის 30 წლის ნაყოფიერი მოღვაწეობა სამშობლო სცენაზე. თათბირმა გადასწყვიტა: გაიმართოს ქალაქის თეატრში 3 დეკემბერს საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენის წმინდა შემოსავალი გადაიდოს იუბილიარის სასარგებლოთ. ზომები იქნას მიღებული, რათა ქალაქის სხვა და სხვა პროფესიის ან დაწესებულებების წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა საიუბილეო დღესასწაულში.

იუბილეის ორგანიზაციის მოწყობა მიენდო კომისიას. კომისიაში შედიან: სახალხო უნივერსიტეტის, დრამატიული საზოგადოების, წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილების წარმომადგენლები, „ფონის" რედაქტორი გ. გიორგაძე, მკ. ი. ნიკოლაძე, ანნა ბ. დოროთქიფანიძე, ლიუცია კოკოჩევისა, მარ. კლდიაშვილის ასული, იოსებ კემულარია, დავით კლდიაშვილი.

— სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების კრება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევათ დანიშნულია ქალაქის გამგეობის დარბაზში, კვირას, 29 ნოემბერს, დღის 12 საათზე.

პირველი კრება დანიშნული იყო პარასკევს, 20 ამ თვეს, მაგრამ არ შესდგა.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**შეთქმულება.** ცეზარეიაში მიტროპოლიტ მიტრიდატზე შეთქმულება აღმოაჩინეს. თვითონ მიტროპოლიტმა გაქცევით თავს უშველა. შეთქმულების მეთაურთა სია ოსმალეთის მთავრობას გადაეცა. პოლიციამ დააპატიმრა და სამხედრო სასამართლოს გადასცა 14 სომეხი.

**შეტაკება.** პორტამ ცნობა მიიღო ოსმალეთისა და სპარსეთის ჯარის შეტაკების შესახებ. მინისტრთა საბჭომ არაჩვეულებრივი კრება მოიწვია. სპარსეთის ელჩი კრებაზე მივიდა და ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვა ურმიიდან ოსმალეთის ჯარის გაყვანა. კაბინეტმა გადასწყვიტა სპარსეთიდან ჯარი არ გამოიყვანოს და, პირ იქით, კიდევაც გააძლიეროს ის, ახალი ჯარების გაგზავნით.

**ანატოლიის სომხები.** ანატოლიის სომხების ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა ინგლისის ეკლესიას შეუერთდენ, ხოლო მეორე ნაწილმა მართლმადიდებლობის მიღება მოისურვა. ამ მიზნით სპეციალური დეპუტაცია გაიგზავნა პეტერბურგსა და ლონდონში. ეს გადაწყვეტილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სომხები დიდ ტანჯვას განიცდიან თავგასულ ბრბოს ძალმომრეობისაგან. მათ სურთ დღეიდან სარწმუნოების გამოცვლისათვის რუსეთსა და ინგლისს შეაფარონ.

### სპარსეთი

**„იაშასუნ-მარშრუტე".** არდებილში სცხოვრობს გამოჩენილი ნაციონალისტი მირზა-ულამა, რომელსაც ყავს 7 წლის ძმისწული ხალილ-აღა. როდესაც შახსევანები ხალილ-აღას სახლს მიადგენ გასანადგურებლათ, ეს მომავალი მოქალაქე ქიშკარში შეეგება მაჰომედ-ალის თაყვანისმცემლებს და დაუყვირა: გაანადგურეთ ჩვენი სახლი, მაგრამ მაინც იაშასუნ მარშრუტე! (გაუმარჯოს კონსტიტუციასო).

### შორეული აღმოსავლეთი

**კონსტიტუცია ჩინეთში.** პეკინიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ბოგდიხანმა კონსტიტუციონური პალატის ცზიჩჟენ-იუანის არჩევნების წესი გამოაცხადა. პალატის დეპუტატებს აირჩევენ პროვინციალური საერობო კრებები (ცზიიცზიური). პალატის სესიის გახსნა დანიშნულია 1910 წ. 28 იანვრისთვის.

**დატუსაღება კორეიაში.** ხარბინში დაიჭირეს კიდევ ორი კორეელი, რომელთაც თავად იტოს მოკვლაში მონაწილეობას მიღებას აბრალებენ. დაატუსაღეს აგრეთვე იტოს მკვლელის ოჯახობაც.

---

მრეწველობაში, სადაც რამოდენიმე ხნით ადრე ხელოსნობა ბატონობდა. აშკარაა, ჯერ კიდევ მრავალი მრეწველობა ხელ უხლები რჩება კაპიტალის მიერ, რომელიც არჩევს „უკეთეს". მეურნეობის ურთი-ერთობის ძირიანათ შეცვლა კაპიტალს უხდება მრეწველობის სხვა დარგებზე უფრო გვიან იმიტომ კი არა, რომ ტეხნიკური მხრით სხვა დარგი მრეწველობისა უფრო მიმზიდველი იყოს მსხვილ წარმოების მოსაწესრიგებლათ; მეურნეობა—ეს უკანასკნელი ციტადელია წვრილ მეუნეობის და სამეურნეო წყობილებისა, რომელსაც თავ-გამოდებით იცავენ წვრილი მეოჯახენი წინაამდეგ მსხვილ წარმოებათ გახდომისა.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება ევროპაზე გვიან დაიწყო, ამისათვის დღემდე კაპიტალი მხოლოდ ცდილობს ჩაიგდოს ხელში ისეთი დარგი სახალხო მეურნეობისა, რაც გერმანიაში მან უკვე მე-XIX საუკუნის 60 და 80 წლებში დაიმორჩილა, მაგრამ აქ, რუსეთშიც მრეწველობის სხვადასხვა დარგთა დაპყრობას ისეთივე წეს-რიგით აწარმოვებს კაპიტალი, როგორც გერმანიაში.

რუსეთში მე XIX საუკუნის 60-იან წლამდის უმეტესი ნაწილი სააქციონერო კაპიტალისა იხარჯებოდა რკინის გზებზე, ბანკებზე, ორთქლმავლებზე და მხოლოდ უმცირესი ნაწილი ხმარდებოდა პირდაპირ წარმოებას. იმ საერთო თანხიდან, რომელიც სააქციონერო წარმოებაზე დახარჯულა 1878 წლამდის, რკინის გზებს, ბანკებს და ორთქლ-მავლების საქმეს ჩაუნთქავს 83 % მეტი, სამთამადნო და სხვა მრეწველობას—კი მხოლოდ 12,2 %; სამთამადნო საქმე იწყებს აღორძინებას მე-90 წლებიდან მაშინ, როდესაც ამავე დარგზე გერმანიაში უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო 70 წლებიდან. მსხვილ კაპიტალს, გარდა საქსოვ და სამთამადნოსა, სხვა წარმოების მოწესრიგებაში ჯერ ხელი არ უხლია, თუმცა შინამრეწველური წარმოება კაპიტალის ხელშია.

ამ ნაირათ, რუსეთში მრეწველობის სხვადასხვა დარგს დღემდე შეუნახავს ოჯახური წვრილი მრეწველობის ფორმა და ჯერ არ გადაქცეულა მსხვილ წარმოებათ. როგორც ზევით ვსთქვით, წარმოების რეორგანიზაციისათვის საჭიროა აუარებელი კაპიტალი, რომელიც შესაძლებელია ნელ-ნელა მოგროვდეს; ამიტომ უმეტეს შემთხვევაში შინა მრეწველურ წარმოებაში კაპიტალის როლი გამოიხატება დამოუკიდებელი შინა მრეწველების დაქირავებულ მუშებათ გახდომაში, რომლებიც მუშაობენ კაპიტალისტისთვის თავიანთ ოჯახებში. კაპიტალის ბატონობის ფორმა მრეწველობაში ჯერ კიდევ სჭარბობს რუსეთში. ძლიერი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც დღეს შებორკილია იმის გამო, რომ წარმოებას სჭარბობს ოჯახური ფორმა, მხოლოდ თანდათან განთავისუფლდება და შემდეგ ორგანიზაციულათ შეკავშირებულს შეეძლება კლასობრივი, ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა აწარმოვოს.

ასეთი პროცესი საზოგადოებრივ ძალთა „გახსნისა" ფერხდება დღევანდელი პოლიტიკური წყობილების გამო იმიტომ, რომ აუარებელი ნაწილი ნაციონალური შემოსავლისა ბიუროკრატიის მიერ იფლანგება სრულიად უნაყოფოდ. კაპიტალის მოგროვების პროცესი მხოლოდ დღეს-დღეობით ფერხდება, მისი შეჩერება კი სამუდამოთ—შეუძლებელია.

კაპიტალიზმის განვითარების შემდეგი საფეხური—როდესაც ის ვაჭრულ და სამთა-მადნო საქმის გარდა, თავის ბასრ კლანჭებს ჩასჭიდებს მრეწველობის ისეთს დარგს, რომელიც ამ ჟამათ შინა-მრეწველების ხელში,—უნდა დაიწყოს ახლო მომავალში. ეს გარდამავალი პროცესი მით უფრო ჩქარი იქნება, რაც ადრე შეიქნება ის პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდუსტრიალური ნაწარმოების მასსიურ ხმარებას.

პ. ჭალ—ძე.

## საზღვარ-გარეთ

**დემონსტრაცია ჩერნოგორიაში.** სათემო საბჭოს სხდომაზე სოც. დემოკრატმა კოვაჩევიჩმა წინადება შეიტანა პროტესტი გამოეცხადებიათ მთავრობისათვის ხუთი ჩერნოგორიელის სიკვდილით დასჯის გამო. საბჭომ კოვაჩევიჩის წინადადება უარყო. საღამოს სტუდენტებმა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს.

**საპარლამენტო ეთიკა.** საქსონიის ლანდტაგში ფინანსთა მინისტრი პასუხს აძლევდა ნაციონალ-ლიბერალებს და სოციალ-დემოკრატებს. ლაპარაკის დროს მან ერთი დეპუტატის სიტყვა „პოლიტიკურ აზრს“ მოკლებულათ გამოაცხადა. ამან ისეთი საერთო პროტესტი გამოიწვია დეპუტატებში, რომ მინისტრი იძულებული გახდა სიტყვა უკან წაეღო და დეპუტატის წინაშე ბოდიში მოეხადა.

**გაფიცვა ამერიკაში.** ნიუ-იორკიდან ბერლინის გაზეთებს ატყობინებენ, რომ ამერიკის ჩრდილოეთ-დასავლეთ შტატებში მრეწველობა და ვაჭრობა თითქმის შეწყვეტილია. ამას მიზეზათ ასახელებენ რკინის გზის მესრეების გაფიცვას. გაფიცულია სულ 50,000 კაცი.

**დამატებითი არჩევნები.** პრუსიის პალატამ კანონიერათ არ იცნო ბერლინის ოთხ ოლქში მომხდარი არჩევნები, რომლებზედაც სოციალ-დემოკრატები გავიდენ. ამ დღეებში მოხდა განმეორებითი არჩევნები. ოლქში არჩეული აღმოჩნდენ ისევ სოციალ-დემოკრატები. ხმები შესამჩნევათ გაიზარდა, ლიბერალებს კი ბევრი ხმები დააკლდათ. მხოლოდ ერთ ოლქში გაიმარჯვა თავისუფალ მოაზრეთა კანდიდატმა, რომელმაც მიიღო 349 ხმა, სოც. დემ. კი—331 ხმა.

## რუსეთი

**დირექტორის ცემა.** ნოვგოროდის ვაჟთა გიმნაზიაში მერვე კლასის მოწაფემ ისაევმა გიმნაზიის დირექტორს ვოლკოვს იმდენი სცემა, რომ უკანასკნელს გრძნობა დაეკარგა.

**არეულობა სემინარიაში.** ორიოლის სასულიერო სემინარიის პირველი ოთხი კლასის მოწაფეები განუსაზღვრელ დრომდე დაითხოვეს. მოწაფეების დათხოვის მიზეზი სასწავლებელში მომხდარი არეულობაა.

**ჯარის-კაცის მოკვლა.** სადგურ ინოკენტიევსკიზე პორუჩიკმა ბალაშოვმა ორი ტყვიით მოკლა ციმბირის პოლკის ჯარის კაცი. მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ ჯარის კაცმა აფიცერს სამხედრო სალამი („ჩესტის“) არ მისცა.

# პროვინცია

**გურია.** ამ ხუთი დღის წინეთ ნიგოითის გზაზე ვიღაცეებმა რევოლვერით დასჭრეს ერთი დარაჯი. რომ სოფელს თავი დაეღწია მოსალოდნელი ეგზეკუცია-აწიოკებისათვის, მთელი სოფელი ფეხზე დადგა და ავაზაკებს გამოუდგა, მაგრამ ამაოთ. ბოლოს ხმები დაჰყარეს, ვითომ ავაზაკები (როგორც ამბობენ, ორნი ყოფილან) მდ. სუფსაზე გასულიყვენ და ს. ბუკნარის გზას გასდგომოდენ. ხალხიც, (ას კაცამდე) ესტუმრა ბუკნარს და მოითხოვეს ავაზაკები. გაჩნდა ეკლესიებზე ზარების რეკა, მოვიდა ადგილობრივი მამასახლისი დარაჯებით, შეგროვდა ხალხი, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. ბოლოს გამოირკვა, რომ ავაზაკები სუფსას გამოღმა არ გამოსულან; მხოლოდ ეგზეკუციის მომლოდინე შეშინებულ ხალხს მენავესთვის დაევალებია: თუ ვინმემ გკითხოს, ასე სთქვი, ვიღაც ორი შეიარაღებული კაცი აქ გავიდა და ბუკნარისაკენ წავიდა.

— ს. ასკანაში, 20 ნოემბერს, შუადღისას მოკლეს გზაში მიმავალი ამავე საზოგადოების მცხოვრები ივ. სიამაიშვილი. როგორც ამბობენ, მკვლელები ექვსამდე ყოფილან. შეხვედრიათ თუ არა, უბრძანებიათ მხარზე გადადებული ხურჯინი გადმოეღო — „შენი სული აი, ამ თოფის პირშიაო“ — უთქვამთ და 7-ჯერ დაუხლიათ. სიამაიშვილი აშკარა წინააღმდეგი ყოფილა, როგორც ამბობენ, ავაზაკებისა. ყოველ ღონეს ხმარობდა თურმე იმათ დასაჭერათ და მიტომაც გამხდარა მათი მსხვერპლი.

იქ, სადაც მკვლელობა მოხდა, მეორე დღესვე გაემგზავრა ჩოხატაურის ბოქაული, რომელიც ასკანიდან მაზრის უფროსს დაებარებია ოზურგეთში. არ იციან, როგორ განკარგულებას მოახდენენ. ტყავ-გამძვრალი სოფელი კი კვლავ ეგზეკუციის და გადასახედების მოლოდინშია.

— ამ დღეებში სოფლის მამასახლისებს მოწერილობა მოუვიდათ უმაღლესი მთავრობიდან და ეკითხებიან: მიაწოდეს თუ არა მათ სახ. დუმის დეპუტატ გეგეჭკორს მოსავლის შესახებ გურიაში ცნობები, ან რა შინაარსის. —ლია.

—

ს. ერკეთი (გურია). მდგომარე წელიწადი სწორედ რისხვათ მოევლინა ისედაც გაჭირვებულ და გაღატაკებულ ხალხს. ჯერ გაზაფხულზე მოსთოვა და სულ მოსწვა ვენახი და ყოველივე ხის ნაყოფი, მერე ხანგრძლივმა გვალვებმა ამოახმო და ააჭკნო ნამუშევარი. იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ მთელი წლის სარჩო მოეწიოს, ზოგს კი ორი-სამი თვის სარჩოც არ მოსვლია. არ იციან, რით და რა საშუალებით გამოკვებონ ცოლ-შვილი, არავითარი სახსარი არ გააჩნიათ, რომ ამ შეუბრალებელ შიმშილს თავი დააღწიონ. ყიდვის აჯა რომ ქონდეთ, მოტანაა გასაჭირი უვარგისი გზების გამო. მიუხედავათ იმისა, რომ გზებს ადგილობრივ ესაჭიროება გაკეთება, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხისათვის, ამავე დროს ამ ზაფხულს თვენახევარი ამუშავა პოლიციამ ხალხი ბახმაროს გზაზე, რომელიც ერკეთის და ამაღლების მცხოვრებლებს არაფრათ არ ესაჭიროებათ. ამნაირათ, სასოფლო გზების კეთებას დასთხოვეს და იქ მათთვის უსარგებლო გზაზე ამუშავეს ეს ორი საზოგადოება. ეს რასაკვირველია მოხერხებით, „ძლიერთა“ ამა ქვეყნისათა“.

ჯერ კიდევ ხალხს საშუალება ვერ მოენახა, რომ კარზე მომდგარი შიმშილი შეემსუბუქებია და ამ დროს ამბავი მოვიდა დრამის ფულები უნდა მოიკრიბოსო. ეს სწორეთ ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო. ხალხი დიდ საგონებელში ჩავარდა. მარტო გაგონებამაც კი თავზარი დასცა. როდესაც დარწმუნდენ, რომ გადაწყვეტილია დრამის ფულების მოკრება, შუბან-ბჟოლიეთის მრევლმა გაუგზავნა თავიანთ მღვდელს, გრ. დომთათიძეს დეპუტაცია და სთხოვეს ეპატიებია დრამის ფული. მღვდელმა პატიოსანი სიტყვა მისცა ხალხს, რომ არ მოვითხოვ დრამა-ფულსო და თუ ვინიცობაა, ჩემდა უნებურათ გადაგახდევინებს პოლიცია, უკან დავურიგებ ყველას გადახდილ ფულსაო. ხალხმა ამაზე დიდი მადლობა გამოუცხადა მღვდელს და სრულიად დარწმუნებული იყვენ, რომ მღვდელი „პატიოსან სიტყვას“ არ გასტეხდა, მაგრამ გავიდა თუ არა ცოტა ხანი, მღვდელმა მიმართა სადაც ჯერ არს, რომ მოკრიბათ დრამა-ფული, რაც სისრულეში მოიყვანეს. დრამის ფულის მობოჭვამ სულ მიწასთან გაასწორა ხალხი. „სტრაჟნიკების“ მათრახების შიშით იძულებული იყვენ გაეყიდათ: მარჩენალი ძროხა, სიმინდი და საოჯახო ნივთი, რომლებიც შემდეგ თითონ ისევ უნდა ეყიდნათ ორწილ ფასათ. გაჭირვებული ხალხი დაბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ მღვდელს მოექცეთ ისე, როგორც მთავრობისაგანაა დაკანონებული. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას უკვე შეუდგენ და ერთ მაგალითს აქავე მოვიყვანთ: ერმ. ჩანტლაძემ ბავშვი ეკლესიაზე მონათლა, მღვდელი ჩვეულებისამებრ მოელოდა კარგ საჩუქარს და კარგ სადილსაც, მაგრამ გაუცრუვდა იმედი. ნათლობის გათავების შემდეგ ჩანტლაძე თავის სტუმრებს წამოუძღვა ხალხში სადილის მისართმევათ, ხოლო მღვდელი კი შორი-ახლო მოუყვებოდა, როცა კარებში ჩავიდენ, სტუმარ-მასპინძელი, მღვდელი გადმოღმა დარჩა, მას არავინ არ უთხრა ჩამობრძანდიო და ისევ არჩია ქვევით ჩაუყოლოდა გზას. ასეთივე მაგალითი მოხდა ქ. თოდრაძისას. ასეთია დამოკიდებულება შუბან-ბჟოლიეთის მღვდელსა და მრევლს შორის.

ორიოდე სიტყვა სკოლაზე. საეპარქიო სკოლების საბჭოს განკარგულებისაგან დაინიშნა ბჟოლიეთის სამრევლო სკოლაში მასწავლებლათ ბ. ნაკაიძე, რომელიც ენერგიულათ შეუდგა ბავშვების სწავლის საქმეს. გარდა ჩვეულებრივი მეცადინეობისა, სადამოობით ამზადებს იმ ბავშვებს, რომლებიც დარჩენილან გადაუყვანელი წინანდელი მასწავლებლების წყალობით. ბ. ნაკაიძემ სწავლის საქმე ერთობ წინ წასწია და ბავშვებიც შესაფერისათ გადაიყვან-გადმოიყვანა განყოფილებებში. ამ გარემოებამ ძალიან გაანაწყენა ბავშვის ზოგიერთი ჭირისუფალი და მრავალი მუქარა მიიღო მასწავლებელმა, („პროგაორით“ გადაგასახლებთო) მარა მასწავლებელი ამან ვერ შეაშინა და განაგრძობს თავის საქმეს. მოვაგონებთ ზოგიერთ ბავშვის მამებს, რომ ასეთი მასწავლებელი პატივისცემის ღირსია და არა მუქარის და საყვედურის. საჭიროა ხელის შეშლის მაგიერ კარგათ დაუკვირდენ სწავლის რიგიან ნიადაგზე დაყენებას. **გუმურიოდელი.**

—

**ხიდისთავი (გურია).** ამ დღეებში ჩოხატაურის საბოქაულო მამასახლისებმა შემდეგი ცირკულიარ-მოწერილობა მიიღეს ბოქაულიდან: „ვალდებული გახადეთ თქვენი საზოგადოების მასწავლებლები, რომ მათ ყოველ კვირა დღეობით ატარონ ეკლესიაში მოსწავლეები. წინადადება მიეცით მათ შეადგინონ მოსწავლეთაგან მგალობელთა გუნდი. უყველაფერი ამის თვალყურის დევნება გევალებათ თქვენ.

ხელწერილი ჩამოართვით მასწავლებლებს, რომ ისინი ყველა ამას შეასრულებენ“. ბ-ნი ბოქაული არას ამბობს ვისაგან გამომდინარეობს ასეთი განკარგულება. ჩვენის აზრით, მასწავლებლებს შეეძლოთ უარი ეთქვათ ბოქაულის ზემოხსენებულ წინადადებაზე ხელის მოწერაზე, რადგანაც ყოველივე განკარგულება, რომელიც ეხება სკოლის ცხოვრებას, მხოლოდ და მხოლოდ სამოსწავლო უწყებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ ვინ იქნებოდა ისეთი, რომ პირველ უარს იტყოდა ხელის მოწერაზე და შეეკითხებოდა ბოქაულს ასეთი განკარგულების განმარტებაზე. ის ხომ ბოქაულის მსჯავრს ვერ ასცილდებოდა. ერთ-ერთი მასწავლებელი უკვე შეეკითხა სახალხო სკოლების ინსპექტორს თუ როგორ უნდა მოიქცენ ისინი ასეთი მოწერილობის შემდეგ. ვნახოთ რას უპასუხებს ინსპექტორი. **იბრაგიმ.**

### † ივანე ნიკოს ძე ბერაძე.

23 ნოემბერს ერთი თვის ქუთაისის ციხეში ჯდომის შემდეგ დამბლით გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 27 წლის, ივანე ნიკოს ძე ბერაძე. ვანო ეს მეორეჯერ დაატუსაღეს. პირველათ, 1906 წ. და მეორეთ წელს ოქტომბერში. მას ბრალს სდებდენ 1905 წ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის. მასთან დაჭერილები ყველანი გაანთავისუფლეს, მაგრამ ვანოს სიცოცხლეში ციხის კარებიდან გამოსვლა არ ეღირსა. მხოლოდ სიკვდილამდე ერთი საათის წინ დამბლა დაცემული გაანთავისუფლეს. ყოველივე ცდამ მის გადასარჩენათ ამაოთ ჩაიარა. ის გარდაიცვალა ქუთაისში ერთ-ერთ სასტუმროში. ვანო სწავლობდა ფოთის სამოქალაქო სასწავლებელში. კურსის დასრულების შემდეგ სიმწიფის მოწმობის მისაღებათ ემზადებოდა; მაგრამ ერთი მხრით იმ დროში ავათმყოფობამ, მეორე მხრით ოჯახურმა მდგომარეობამ იძულებული გახადა სწავლისათვის თავი დაენებებინა. ის უკანასკნელ ხანებში კომერციაში იყო ჩაბმული, მაგრამ ეს საქმე მას სრულებითაც ხელს არ უშლიდა, რომ იმავე დროს საუკეთესო თანამედროვე მოქალაქე ყოფილიყო. ვანო ფხიზელი დარაჯი იყო ეხლანდელი უკუღმართი მდგომარეობის და ყოველივე თვალსაჩინო დღიურ კითხვებს ფხიზლათ უყურებდა. მას დარჩა ცოლი, ორი პატარა ქალ-ვაჟი და სხ. ნათესავები, რომლებიც გულდათუთქულნი დასტირიან თავის საყვარელ ვანოს.

**ახლობელი.**

# მუშათა შორის

**სამტრედიის რკ. გზ. დეპო.** მას შემდეგ დიდი ხანი არ არის, რაც საქონლის მატარებელთა მოძრაობის შესუსტების გამო დეპოს მოსამსახურეებში დიდი ცვლილება მოხდა. ზოგიერთი მემანქანეები და თანაშემწეები დეპოში გაგზავნეს სამუშაოთ. მემანქანეთა მოვალეობის აღმასრულებელნი თანაშემწეების ადგილზე ჩამოაყენეს. ასე გაგრძელდა ნოემბრის დაწყებამდე. ნოემბრის პირველ რიცხვებში საქონლის მატარებლების მიმოსვლამ ისევ იმატა და ჩამოქვეითებულ მოსამსახურეებსაც იმედი მიეცათ თავ-თავიანთ ადგილებს მიიღებდნენ, მაგრამ მოსტყუვდნენ. ეგ კიდევ არაფერი. მატარებლების მოძრაობის გადიდებასთან შესამჩნევათ შეამცირეს მოსამსახურეთა რიცხვი, როგორც წინათ, ეხლაც დღიური თანაშემწეები დეპოში გაგზავნეს სამუშაოთ, მემანქანეთა თანაშემწეობის აღმასრულებელი თანაშემწეები თავიანთ ადგილზე ჩამოაყენეს. ასე რომ, მემანქანე და თანაშემწე წინათ თუ 17—20 მატარებელს ატარებდა, დღეს 28—32 ატარებს. წინათ თუ მატარებლიდან მოსვლის შემდეგ რვა საათი დასვენებული იყვენ, ეხლა ერთი საათიც არ არიან, მოვა თუ არა ერთი მატარებელი, მეორე უკვე მზათ არის და დაუსვენებლათ გადადიან მეორეზე. ასეთი მდგომარეობა ცუდ გავლენას ახდენს, როგორც მოსამსახურეებზე, ისე მიმოსვლაზე. ადვილი მოსალოდნელია დაღლილ-დაქანცულ მემანქანეთანაშემწეებს გზაში ჩამოეძინოთ და კატასტროფა აუცილებელია. ამ გარემოებას არავინ ყურადღებას არ აქცევს. პირ-იქით, როგორც გავიგეთ, ერთ ჯგუფს მემანქანეებისას თხოვნით მიუმართავს უფროსის თანაშემწისთვის მატარებელში დაუსვენებლათ მიმოსვლის და მასაც აუსრულებია მათი თხოვნა. საჭიროა ვისიც ჯერ არს მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

აქაურ დეპოში არსებობდა სამკითხველო, მაგრამ უსახსრობის გამო დახურვის პირზე იყო მისული. ამ ხანად გადმოყვანილი უფროსის თანაშემწე შპუნარი, დეპოს უფროსის ბრძანებით, შეუდგა სამკითხველოს მოწესრიგებას. მოაგროვა საწევრო ფული 170 მანეთამდე. შეიძლება სამკითხველო ფეხზე დადგეს, მაგრამ რა გამოვიდა. ბ. შპუნარი, სასტიკი ცენზორი გამოდგა და ენერგიულათ შეუდგა სამკითხველოს გაწმენდას „უცენზურო წიგნებისაგან“, რაც დიდ უკმაყოფილებას ბადებს ისედაც გულგატეხილ წევრებ შორის.

—ო.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### რა ხდება ჩინეთში?

ამ ჟამათ ყველას ყურადღებას იპყრობს ჩინეთის ხალხის და იქაური მთავრობის მოქმედება. ჩინეთის მთავრობას მოსვენებას არ აძლევს ერთი მხრით საგარეო პოლიტიკის საკითხი განსაკუთრებით— რუსეთთან და იაპონიასთან დამოკიდებულების საქმეში და მეორე მხრით— თვით ჩინეთში კონსტიტუციონური წესწყობილების დაწესება, რომელიც ახლო მომავალში უნდა იქნას შემოღებული.

დამოკიდებულება მანჯურიის მთავრობასა და ჩინეთის ხალხს შორის თან და თან მწვავდება. მანჯურიის მთავრობა ამ ჟამათ უნდობლათ ეპყრობა როგორც იაპონიას და რუსეთს, ისე ჩინეთის ხალხსაც. ჩინეთის მთავრობა მონდომებულია მონგოლია და მანჯურია რუსეთ-იაპონიისაგან გაანთავისუფლოს და თითონ დაისაკუთროს. ხსენებულ მხარეებში უკანასკნელ ხანებში იაპონია ეკონომიურ გავლენას თან და თან ისაკუთრებს: თავის გავლენის ქვეშ ჰყავს მონგოლთა თავადების მიერ დაწიოკებული მცხოვრებნი და თვით გაღატაკებული თავადებიც.

რუსეთთან ბრძოლა ჩინეთისთვის უფრო ადვილია, ვინემ იაპონიასთან. მისი მიზანია—ხელი აალებინოს რუსეთს მთელ სამხრეთ მანჯურიაზე და იმ საზღვრამდე მოიყვანოს, რომელიც ჩინეთსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ 1895 წელს არსებობდა. ამ საქმეში ჩინეთს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ რუსეთის გავლენა ჩინეთზე შესამჩნევათ დაეცა; ამიტომ, ჩინეთი თან და თან ნთავისუფლდება რუსეთის გავლენისაგან. ასე წარმოიდგინეთ, რუსეთის გავლენა ჩინეთ-მანჯურიის რკინის გზასაც ისე აღარ ემჩნევა, როგორც წინეთ. იაპონიის ეკონომიურ გავლენასთან საბრძოლველათ მანჯურიაში საჭიროა ენერგიული სახელმწიფო მოღვაწენი, რაც არა ჰყავთ. ამიტომ, როგორც ჩინეთის პრესაში, ისე მაღალ წრეებში, უკმაყოფილება გაისმის პრინც-რეგენტის ჩუნის წინააღმდეგ. მოითხოვენ, რათა განთავისუფლებულ იქნას იუანშიკაი (გაძევებულია) და მიენდოს მას, როგორც მანჯურიის ნამესტნიკს, რუსეთის და იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება. ვინაიდან პრინცი მეტათ ჯიუტი კაცია, არ აქვთ იმედი, რომ მასზე საზოგადოებრივი აზრი გავლენას იქონიებს. ჩინეთის მთავრობის გამოურკვეველი მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში ნათლათ სჩანს უცხოელებთან დამოკიდებულებაშიაც. ყველაზე უფრო კარგი თვალით ჩინელები ამერიკელებს და ნემცებს უცქერიან, ყველაზე უფრო ემტერებიან იაპონელებს ინგლისელებს, რუსებს და საზოგადოთ ყველა ევროპიელებს. ჩინეთის პატრიოტული პრესა დიდ წინააღმდეგობას აცხადებს ჩინეთ-იაპონიის კავშირის შესახებ. ჩინელებს იაპონელები ბოროტ ხალხათ მიაჩნიათ. ამბობენ; იაპონელები გვავიწროებენ-გვჩაგრავენ, მიწა-წყალს გვართმევენ, ჩვენს ეროვნულ გრძნობებს შეურაცხყოფას აყენებენ, მთელი ჩინეთი ჯაშუშებით აავსეს და სხვ. იაპონიის ეკონომიური გავლენა ჩრდილოეთ მანჯურიაზე კი დიდია. მთელი მსხვილი წარმოება მათ ხელშია. რკინის გზებსაც იაპონელები პატრონობენ, მარა საკმაოა ჩინეთმა ნაცად საშუალებას — ბოიკოტს — მიმართოს იაპონიის ვაჭრობა-წარმოების წინააღმდეგ, რომ მათი გავლენა დასცეს. საქონლის ბოიკოტი ჩინეთში საუკეთესო საშუალებაა. 1906 წ. მათ ორჯერ მიმართეს ასეთ საშუალებას იაპონელებისა და ამერიკელების წინააღმდეგ და დიდი ზარალიც მიაყენეს. ასე რომ, დაბოლოს აიძულეს როგორც იაპონელები, ისე ამერიკელები მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებიათ. ამ ჟამათ მოსალოდნელია ბოიკოტი იაპონელთა წინააღმდეგაც.

ეხლა კანტონში და კიუ-კიანგში ბოიკოტი აქვს გამოცხადებული პორტუგალიელთ და ინგლისელებს. ბოიკოტი ერთმა, ერთი შეხედვით, „უბრალო“ შემთხვევამ გამოიწვია: ერთ-ერთ ინგლისის გემზე ბილეთის გამყიდავმა —პორტუგალელმა ჩინელ მგზავრს სცემა, რომელიც იქვე, გემზე, გარდაიცვალა ცემისაგან. ჩინელის სიკვდილმა ინგლისისადმი აღშფოთება გამოიწვია. ჩინეთის პატრიოტულმა საზოგადოებამ მოთხოვნილება წარადგინა, რომ გემის აგენტი პასუხის გებაში მიეცათ. აღშფოთება იმდენათ ძლიერი იყო, რომ მართლა დანიშნეს საელჩოთა წარმომადგენელთაგან სასამართლო, რომელმაც პორტუგალელი გაამართლა. პატრიოტულმა საზოგადოებამ ამის გამო ბოიკოტი გამოუცხადი როგორც ინგლისის საქონელს, ისე გემის მთელ კამპანიას. ბოიკოტის გამოცხადებისათანავე ჩინელმა მუშებმა მუშაობა აღკვეთეს. ბოიკოტს შედეგათ ის მოყვა, რომ გემის კამპანიამ გარდაცვალებული ჩინელის ოჯახის სასარგებლოთ 5,200 დოლლარი (ერთი დოლლარი დაახლოვებით ჩვენებურ ორ მანეთს უდრის) გადაიხადა.

ბოიკოტის ორგანიზაცია ისე კარგათაა მოწყობილი ჩინეთში, რომ ის ერთათ ერთ მძლავრ იარაღს წარმოადგენს ევროპიელების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

უკანასკნელ ხანებში ჩინელთა შორის ფეხს იკიდებს ნემცების კულტურული გავლენა. წელს ნემცებმა ჩინეთის მთავრობის მონაწილეობით ცზინ-ტაოში დაარსეს ტეხნიკური სკოლა. სკოლაში ორი განყოფილებაა: საშუალო—ექვსი წლის კურსით და უმაღლესი კურსით, სადაც სპეციალურათ ტეხნიკურ განათლებას ღებულობენ. რუსეთის მთავრობასაც ჰქონდა აზრათ 1907 წლს ჩინეთში რუსული სკოლები დაეარსებია, სადაც რუსი მასწავლებლები უნდა ყოფილიყვენ და ჩინელებისთვის რუსული ესწავლებინათ (სკოლების შესანახ ხარჯს გადაიხდიდა როგორც რუსეთი, ისე ჩინეთი), მაგრამ ვინაიდან ასეთი სკოლების მიზანი ჩინელთა „გარუსება“ იყო, ჩინეთის მთავრობა არ დათანხმდა და საქმეც ჩაიშალა. ნემცებმა კი საქმე პირდაპირ პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენეს: მათ ისეთი სკოლები დაარსეს, სადაც ჩინელები ტეხნიკურ სწავლა-განათლებას მიიღებენ; ასეთ კაცებს კი, ჩინელებსა და ევროპიელებს შორის ვაჭრობა-წარმოებას საქმეში, შეუძლიათ დიდი როლის შესრულება.

### წერილები რედაქციის მიმართ

—

გაზ. „მომავალის“ 58 №-ში ბ. აცანელი კითხულობს: „რა ბედი ეწვია ს. აცანაში შეგროვილ ფულს ე. ნინოშვილის ფონდის სასარგებლოს და სად განისვენებსო».

გვაქვს პატივი მოვახსენოთ ბ. აცანელს, რომ სოფ. აცანაში ვ. ჩხაიძისაგან შეგროვილი 4 მ. და 35 კ. მიიღო ოზურგეთის ფონდის კომიტეტის თავმჯდომარემ ქ-ნ ევ. წუწუნავამ, და სხვებთან ერთად ეს ფულიც შემომწირველთა სიით გამოცხადდება გაზეთში.

საჭიროა ითქვას, რომ ამ დღეებში დამთავრდება ყველა ტალონების შეგროვება და ადგილობრივი ფონდის კომიტეტიც განიხილავს მთელ ჯამს შემოსავალ-გასავლისას და მთელ ანგარიშს წარადგენს დანიშნულებისამებრ, რაც გამოცხადებული იქნება გაზეთებშიაც.

ოზურგეთის ფონდის კომიტეტის მდივანი **ანანია.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# გამოვიდა და იყიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

**— კედლის კალენდარი 1910 წ. —**

შედგენილი ზრ. ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ

ფასი 40 კაპ.

**— სახალხო კალენდარი —**

1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %% დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.

(15—2)


სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3